

გაზეთის ფასი:

გაზეთით თვილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ქართის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
10-ის თვისა — 6 —	— — — 5 —
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

თვილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელოქიშვილის და კაპ. სტამბაში, ბალაიანის პროსპექტზე, რეიტერის სახლში, საღე ბუენსაის წიგნის მაგაზინი იყო.
თვილისში გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. უსაი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-პრივის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიბერატორო გაზეთი.

რედაქციისათვის.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირადად ან წერილობით.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მოწერას, რომელთაც გაზეთის ფული ვერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინა-არსი: განცხადება. მმართველობის განკარგულებანი. — მებატონეების და გლეხების მამულების გამოყენება. — თვილისის საზოგადო წესდებაზედ. — ახალი დადებული სტატუტის განყოფილების მმართველად. — „დროების“ კორექსიონდენტისა. — მეთათისიდა. — პოლიტიკა. — ანგლია. — შანცია. — აესტრია. — ამერიკა. — პრუსია. — რუსია. — ტელეგრაფები. — სალიტერატურა ნაწილი. — ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილს ქალებს. — შაწვილის თეთი-ნება. — ქერძობითი განცხადებანი.

მებატონეების და გლეხების მამულების მალაგაზულს გამოყენებაზედ, რომელიც უნდა მოხდეს თვილისის გუბერნიის მამულების გამოყენებით.

ხელმწიფე იმპერატორმა იმის გამო, რომ გამოიყენოს მამულებში თვილისის გუბერნიის მამულები უნდა ყოფილიყვნენ გასასაღდრათ მებატონეებს და გლეხებს მამულები, ძველის ნამსტრეის წარდგენის თანახმად და ძველის კომიტეტის დაწესებით, 11 აგვისტოს 1866 წელს, უმაღლესთ ბრძანა, რომ 1861 წელს 19 თებერვალს დამტკიცებული წესდება, რომელიც გამოიცა დიდის-რუსეთის (ВЕЛКОРОССІЙСКИХЪ) ახალ-რუსეთის (НОВОРОССІЙСКИХЪ) და სხვა გუბერნიებისთვის, და რომელიც არის მოხსენებული ადგილობრივის გუბერნიების წესდებების მე 65, 70 და 75 სტ., იხმარებოდეს შემოსხენებულის მიწების შესახებ. ეს წესები არიან შემდგენი:

1) ორის წლის განმავლობაში, რომელიც არის დანიშნული ნადელების დამტკიცებისთვის, დანიშნება ექვსი წლის ვადა, რომლის განმავლობაშიაც მებატონეს შეუძლიან მოსთხოვოს გლეხებს, რომ თავისი საერთო და დაფარული მამულები განისაზღვროს საერთო (საზოგადო) საგლეხო მამულებთან.

2) თხოვნა იმ საგანზედ, რომ უთუოთ უნდა განისაზღვროს მამულები, მებატონემ უნდა მისცეს მიროვის პოსტდენიკს და უნდა დაუმტკიცოს: თუ რომელი მამულები ჰსურს ჩამოერთოს გლეხებს თავისთვის და რა მამულებს აძლევს გლეხებს იმის მაგიერად. მუ მებატონეს აქვს პლანი იმ მამულისა, მაშინ ის პლანი უნდა თხოვნასთან წარადგინოს, ან დამტკიცებული კოპია იმისგან, რაზედაც უნდა იყოს დანიშნული, თუ იმ ქვედა რა ალაგები უქირაეთ გლეხებს და რა უნდა განისაზღვროს. მიროვის პოსტდენიკი, მებატონეს თხოვნის შემდეგ, შემდგომით და კეთილ-სენინდისიანის კაცებით გლეხებიდან, დაიწყებს შემოწმებას იმ მამულებისას, რომლებსაც მოითხოვს მებატონე გასასაზღვრავათ. ამისთვის ის გაშინჯავს ალაგობრივ იმ მამულებს. შემოუღლის გარეშე მიჯნებს და სხვა ნიშნებს; ამის შემდეგ, მიროვის პოსტდენიკი შეადგენს ამ საგანზედ თავის აზრს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ის მამულები და წარადგენს გუბერნიის საგლეხო სასამართლოში (Губернское по крестьянскимъ дѣламъ присутствіе). რაკი გუბერნიის საგლეხო სასამართლო დაამტკიცებს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს მამულები, მაშინ შესდგება პლანი იმ მამულებისა, რომლებიც უნდა მიიქცეთ გლეხებს და შემდეგ მიროვის პოსტდენიკის დასწრებით, ჩაშარდებთ ის მამულები. ეს საქმე უნდა მოხდეს მებატონის ხარჯზედ.

ლაქო საზოგადოებისთვის და 2) კერძობითის სამმართველოთ, რომელმაც უნდა განაგოს სხვა და სხვა რიგის მცხოვრებლების საქმეები.

§ 2. საზოგადო სამმართველოს შეადგენენ: 1) ქალაქის საზოგადო სამმართველო და 2) განკარგულების მომხდენი საქალაქო სამმართველო იმ დადებულებით და ჩინებითურთ, რომელიც იმასთან იმყოფებიან.

§ 3. მცხოვრებლების სხვა და სხვა რიგების განკერძოების სამმართველოს შეადგენ: 1) აღმორჩევეთნი კრებანი და 2) კერძობითნი გასამსჯელონი (штрафы).

შენიშვნა: ამქრობა ისევე დარჩება იმ წესდების ძალით, რომელიც საკუთრად იმაზედ შესდგა.

§ 4. ქალაქის თავი (голова) არის უმთავრესი პირი და მთელის საზოგადოების წარმომადგენელი; ამისთვის ის მოვალეა, რომ საზოგადო საქროების და სარგებლობისთვის იზრუნოს.

(გარეშე მიიღება იქნება.)

ახალი დადებული სოხუმის განყოფილების მართვაზედ.

რუსკ. Имв.-ში სწერენ: აფხაზეთის მიწები, ქალ. სოხუმი, სამურდაყანო და წებელდო შეარდგენენ ცალკე სოხუმის განყოფილებას, რომლის უფროსიც დაემორჩილება მეთათისის ლენერალ-გუბერნატორს ადმინისტრაციულად. სოხუმის განყოფილება განაწილდება სოხუმის სასამართლოდ და მათს მაზრათ. მეთათეულს სოფელში, წესისა და რიგის დაღვისთვის, საზოგადოების ამორჩევეთ და ოკრუგის ნაჩაღისის დამტკიცებით, დანიშნება მამა-სახლისი, რომელმაც ამასთანავე ხარჯიც უნდა შეკრიბოს.

განყოფილებაში სასჯავრო საქმეებზედ დადგინებული არიან შემდგენი განწესებანი: სიტყვიერებითი სამსჯავრონი იქნებიან ყველა მაზრაში და უმთავრესი სამსჯავრო იქნება სოხუმში. სოფლებში მცირე დევებს ადგილობრივს მცხოვრებლებს შუა გადასწევტენ მედიატორები. საოკრუგო სასამართლო, თავსმდგომარეს გარდა, რომელიც არის ოკრუგის ნაჩაღისი, იქნება შემდგარი ოთხის დეპუტატისგან, რომლებსაც აღმორჩევენ ოკრუგის მცხოვრებლები: ერთი დეპუტატი უნდა ეკუთვნოდეს მალაღს წოდებას და სამი უნდა ამორჩიოს დაბალის წოდებიდან. ოკრუგის სასიტყვიერო სამსჯავროების დეპუტატებს თვითონ საზოგადოება აღმორჩენს.

„დროების“ კორექსიონდენტია.

მეთათისიდა. ჩვეულებრივ შემოღობა იმერეთში სანატრელი დროა, მაგრამ წელს ამ დრომ გვიღალატა. ღაღა თუ არა პირველი შემოღობის თვე, სექტემბერი, თან მოიტანა ჩვენი დამლუპველი ზენა-ქარი და ამასთანავე ხაფხულის სიციხე დაიქირა. ჩვენ მოველოდით ამ პოეტებისგან უბულოს და მსუქნად წოდებულის დროსაგან გაძლიმას, მაგრამ გაძლიმის მაგიერად იმას უნდა დაგვამოხოს. გახაფხული და ხაფხული იმერეთში ძალიან კარგი იყო მოსაველისათვის. მვენებელი აღმოსავლეთის ქარი, რომელსაც იმერელები ზენა-ქარს ეძახიან, მხოლოდ ერთხელ

განცხადება

საკონსტიტუციო და სალიბერატორო

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე

1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდის 1866 წელს.

თუმცა „დროებაში“ რამდენჯერმე წარმოვსტყვიეთ ჩვენი აზრი, რა მნიშვნელობა და გავლენა უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაზედ გაზეთს და ჟურნალს, მაგრამ ვალათა ვრაცხოვს ვსტყვათ კიდევ რამდენიმე სიტყვა ამ საგანზედ.

სხადია ყველასთვის, რომ დრო იცვლება. ბევრი რამ, რაც ჩვენის მამა პაპებისთვის იყო საჭირო, ახლა იმათის შთამომავლობისთვის გამოსადგევი აღარ არის. ჩვენ თვითონ დამსწრენი ვართ, რომ ზოგიერთი რამ, რაც საჭიროთ მიგვანდა, ის ჩვენ დროს უფარგისათ მიჩნიათ და ჩვენც თავი დავანებეთ. ეს არის ბუნებითი კანონი კაცობრიობის მოძრაობისა და ამ კანონს ვერ წაუფა ვერც ერთი ხალხი, რომელზედაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილათ სცხოვრებს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ დავსტოვოთ ყოველივე უფარგისი ჩვენს ცხოვრებაში, რაც კი გვიშლის, რომ ნამდვილს განათლების გზას დავადგეთ და დაუახლოვდეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზედ წინ არის და ვისგანაც გემართებს მივიღოთ ბევრი სწავლა.

აი ჩვენის ფიქრით როგორი აზრი უნდა ჰქონდეს ყოველს გაზეთს და ჟურნალს, რომელიც კი დაიწყებს ამ დროს თავის შრომას. ამის გარდა ახლანდელს გაზეთს და ჟურნალს უნდა ჰქონდეთ ის მნიშვნელობა, რომ ნათელის გარკვევით გაადვილონ ყველა ნამდვილი და კანონიერი სურვილი და საჭიროება. აგრეთვე იმათ უნდა უჩვენონ საზოგადოებას უნდა თუ არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგით, მოიპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ საზოგადოება წავიდეს წინ, და მიიღოს ის, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას ბუნებით დანიშნული.

გაზეთის პროგრამა დაჩნება ისევე, რომელიც იყო გამოცხადებული წლეულს.

ჩვენ თვითონვე ვაღიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ არ აფასრულეთ, რაც დაეპირდით მეთათელებს; მაგრამ იმათი ვიმართლებთ თავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცელილებანი მოხდენენ, რომელთაც დაგვიშალეს ჩვენის პროგრამის სრულათ ასრულება. ახლაც კი ვიტყვი: რომ ჩვენ, ჩვენის მხრით, მეცადინეობა არ მოგვიკლია; მაგრამ ამის გზასჯა თითონ მეთათელებისთვის მიგვიჩნია.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თანახმად თანახმად ნახევრამდე.

უსაი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ თვილისში 6 მანეთი, გაგზავნით თვილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება თვილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელოქიშვილის და კაპა: სტამბაში, ბალაიანის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

თვილისის გარეშე მცხოვრებთ ეთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილებები გამოგზავნონ ხელმე ამ ადრესით:

ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“, ПРИ ПИСОГРАММѢ МЕЛІКОВА И К-О.

შენიშვნა.

ქალაქის თვილისის საზოგადო სამმართველოს შესახებ.

თავი პირველი.

შედგენილება, საგანი და საზოგადო სამმართველოს მოქმედების სახე.

§ 1. ქალაქის თვილისის საზოგადო სამმართველო განიყოფება: 1) საზოგადო სამმართველოდ, რომელიც იქნება მთელის საქმე

ამოკარდა ზაფხულში და ჰქრიდა ორს თუ სამ დღეს და არაფერი დიდი ზარალი მოუტანია. შევლანი მოხარულნი ვიყავით, რომ ზაფხულში გაიარა და მოსავალი კარგი სჩანდა. მაგრამ ამ დასაქცევმა ქარმა თავისი მინც არ მოიშალა. ორს კვირაზედ მეტს ჰქრიდა, ძლიერს როგორც იქნა გუმინწინ დაწყებულა, ამასთანავე დიდი წვიმა დაიწყო, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაუღია. — მინც იმერეთში არ ყოფილა, იმისთვის ძნელი წარმოსადგენია, რა საძაგელი და მანქანებია ეს ქარი. ის ზაფხულში საშინელი ძლიერი და ცხელია. როცა ის ჰქრის, რეომიურის თერმომეტრი ხან და ხან მზეში 40 გრადუსამდე აიწევს, ჰაერს აშრობს, მცენარეს აქრობს და ამტვრევს, ადამიანს სუნთქვას უძნელებს და აღონებს. არა ხანგრძლივი გოღვა არ ახშობს ისე მიწას და არ არის ისე მანქანებელი, როგორც ეს ქარი. ძნელი ასახსნელია, სად იბადება და საიდან მოდის ეს ქარი. ის ქრის აღმოსავლეთიდან, მაგრამ ეს არის შესანიშნავი, რომ მართლმად ეს ქარი არ იცის. ზენა-ქარი ჰქრის მომატებულათ საკუთარს იმერეთში და სამეგრელოში; იმათ გარეშე მომდებარე მხარეებს (რაჭას, ლეჩხუმს, აბხაზეთს, ბურიას და ახალციხის უფესს) ის ან სულ არ ხედება და ან ნაკლებათ.

ამ ქარს რომ არ წახედინა, მოსავალი ჩვენში ძალიან კარგი სჩანდა, იმედი კი გვაქვს მინც, რომ საყოფი მოვა. თუ უქარობა არ შეიძლება, კიდევ ბედია, რომ ის სექტემბერში ამოვარდა; ახლა იმოდენათ მინც ვერ გეზარალდება, როგორათაც ზაფხულში, ერთი რომ ახლა ქარი უფრო გრილია და მეორე სიმინდი დამწიფებულია, ნაგვიანებს თუ აწყენს კიდევ, თორემ ნაადრუს ბევრს ვერაფერს დააკლებს.

იმერეთში ბევრი სხვა და სხვა რიგი საზრდო მოდის. თავი და ყველაზედ უფრო გავრცელებული ჰირონახული სიმინდი არის. იმას ყოველგან სთესვენ, მთის ადგილებშიც და ბარშიც. თუ სიმინდი კარგათ მოვიდა, პურის მოუსვლელობას ადვილათ მოითმენენ იმერეთში. როცა კარგი მოსავალია, იმერეთს კარგი ძალი სიმინდი გადარჩება ხოლმე გასასყიდლათ და ეს გადარჩენილი ზღვით გააქვთ მსმალეთში.

პურს სთესვენ უფრო ზემო იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში და სენეთში; ვაკე იმერეთში, ბურიაში, სამეგრელოში და აბხაზეთში იშვიათათ. ვაკეში ერთი ცუდი თვისება აქვს პურს. როცა პურს გაღვწენ, თუ მაშინვე კარგათ არ გაირეცხა, შეხუბრდება და გაუჩნდება პებელი, რომელიც მარცვალს გულს გამოუხრავს და წახედინს. წველს პურის მოსავალი იმერეთში საქებარი ვერ არის.

რომელს ადგილებშია პური ცოტა ითესება, იქ იმის მაგიერათ ღობი მოჰყავთ. წველს ღობის და ფეტვის მოსავალი კარგი სჩანდა, მაგრამ ქარმა დიდი ზარალი მისცა, დამწიფებული ღობი და ფეტვი სულ გასცალა მარცვლისაგან.

ღვინო ბევრი მოდიოდა წინათ იმერეთში. ათს წელიწადზედ მეტია, რაც ამ მხარეში გაჩნდა ყურძნის ავთმყოფობა, რომელსაც სწავლულები ეძახიან ოდიუმ ტუკერს (Oidium Tuckeri) და ღვინის მოსავალმა ძალიან დაიკლო. თუ მოდიოდა ღვინო კდევ მთის კალთებზედ, რომელთაც წინათაც მეტი და უკეთესი ღვინო იცოდნენ, თორემ ვაკეში ყურძენი სულ წახდა. მას აქეთ, რაც ყურძნის ავთმყოფობა გაჩნდა წლებადგონისათვის ეძახის არ სხვია, მაგრამ ზენაქარმა ისიც დიდთ დაზარალა. იმერეთში უფრო ხშირია მალღარი (ხეზედ გაშვებული) ვენახი, მინამ დაბლარი. მალღარი ვენახი ბევრი არ წახედინა, მალღარი თითქმის სულ გასცალა ყურძნისაგან, დაუწიფებელი მტევნები ქარმა ხედებდა ჩამოყარა. შესანიშნავია, რომ შირიმდამ მოტანილს ყურძენს იზაბელ ღვინოს

ემართება ოდიუმ ტუკერი და ამის გამო ეს ყურძენი არ ხდება. ბევრმა ამის დამახველმა გააშენა იზაბელა იმერეთში, მაგრამ ამ ყურძენს ერთი დიდი ნაკლულები ეძახის: იმისგან კარგი ღვინო არ ღვება.

აბრეშუმი იმერეთში წველს ვერ-ვერ მოვიდა. მმართველობამ დაარბია ცოტ-ცოტა აბრეშუმის თესლი. ეს თესლი იყო ორ გვარი: ერთი იაპონიური და მეორე ნუსხური. პირველმა ივარცა და მეორე სულ წახდა. ადგილობრივმა თესლმაც ვერ იხერია. დიდი ბედნიერება იქნება იმერეთისათვის, თუ შემდგომს წველში საკმაოთ დარიგდა იაპონიური თესლი. ღვინის და აბრეშუმის ავთმყოფობამ გააღარიბა ხალხი იმერეთში. პირველი ფულის საშოვარი საშუალება გლეხისთვის ჩვენში ღვინო და აბრეშუმი იყო. ბლები მოიწვედა ღვინოს და აბრეშუმს, გაყიდა იმათ, ამ ფულით ტანსაც ჩაიცვამდა და სახელმწიფო ხარჯსაც გადახდიდა. ახლა ორივე ეს საგანი მოიშრო. ხალხს ძალიან გაუჭირდებოდა, რომ ამ მდგომარეობაში იმას ბაზმა არ დახმარებოდა. იმერეთში ძალიან კარგი ბაზმა მოდის; აქაურს ბაზმას ბევრათ ამჯობინებენ შერენისასა და იმაზედ მეტათაც ფასობს, მაგრამ წინათ ცოტას თესვიდნენ. როცა ამერიკის ომის გამო ბაზმას კარგი ფასი დაეღვა, მაშინ მოუმატეს იმისი თესვა. შარშან ბაზმა კარგათ ფასობდა, შუთი 18 მანეთათ გადიოდა ადგილობრულად და ბევრიც გაიტანეს იმერეთიდან მეროპაში. იმისთანა მოსახლე გლეხები არიან ვაკე იმერეთში, რომელთაც შარშან გაყიდეს ორმოც და ათის, სამოცის თუმნის და კიდევ მეტის ბაზმა. წველს ბაზმა ბევრი სთესია და ძალიან კარგათაც მოვიდა, მაგრამ ჯერ ნაკლებ ფასობს, ვაჭრები ფუთში თუმანს იძლევიან. იტყვიან: „ერთი ჰირი მარგებელია“. მს ანდაზა წველს ზენა-ქარმა გაამართლა. სხვა მოსავალი წახედინა, ბაზმას კი ძალიან მოუხდა და კარგს დროსაც მოუსწრო. თუ შემოდგომაზედ კარგი ამინდი არ დაესწრო და ქარი არ მოხდა, ისე ბაზმის პარკები ან ვაშლები, როგორც იმერეთში ეძახიან, არ გაიშლება. ამ შემოდგომას იმას არც კარგი ამინდი დაჰკლებია და არც ქარი. მშვენიერი სანახავია ახლა ბაზმით დათესილი ყანები, პარკები დამსკდარან და გამოუშლიათ მზეში ნახი და თოვლსავით თფთვი ბაზმა. ბაზმის შემუშავებაში ყველაზედ უფრო უხმელდებათ ჩვენში იმის გარეგე, კურკის მოცილება ბაზმისაგან. აქაური ჩიხრინით ბაზმა დიდს ცოდვილით ირჩევა და ვერობილი მხოლოთ რამდენსამე პირსა აქვს იმერეთში. ძალიან კარგს საქმეს იზამს პავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რომ მერობად დაიბაროს ბაზმის სარჩევი ჩიხრინები და მუთაისში გაყიდოს. ამ გვარის ჩიხრინის გავრცელება ძალიან სასარგებლო იქნება იმერეთისთვის.

ზაფხული ჩვენში მთელი იყო. იმერეთის ჩვეულებრივი ავთმყოფობა ცივებ-ცივლებდა და მუცელა წველს, ღვინის მადლით, იშვიათად არის. მხოლოთ ამ თვეში ერთმა ცუდმა სენმა დააპირა შემოპარვა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ის ბევრს ვერაფერს დაგვაკლებს, რადგანაც ახლა კიდევ აგრილდა და ზამთარიც გვიახლოვდება. ეს სენი ხოლგერა არის. პირველათ ხოლგერა ჯარს გაუჩნდა აბხაზეთში, სადაც ის, უეჭველია, შირიმდამ გადმოვიდა. როცა შემდეგ ჯარი დაიშალა აბხაზეთში, შემდეგ ხოლგერაც გაუყდა იმერეთში. ამბობენ ახლა შოთში და ზოგდღეში არის ხოლგერა, მაგრამ სუსტი. მუთაისში ორს თუ სამს კაცს გამოიჩნდა ხოლგერა, ისინი სამნივე სოხუმიდამ იყენენ მოსულნი. აგრეთვე სოფლებში გამოიჩნდათ ეს სენი ზოგიერთს პირებს, რომელნიც მილიციამ იყენენ აბხაზეთში და იქილამ ამ მოკლე ხანში დაბრუნდნენ.

როგორც წინათვე მოსალოდინებელი იყო აბხაზეთში არეულობა უჩხუბრათ გათავდა. მმართველობამ მოსთხოვა აბხაზეთს იარაღის

აყრა და მოცემა თავი კაცებისა, რომელთაც არეულობა მოახდინეს. მინც კი პოდორის მდინარის გაღმა სახლობენ ყველამ თოფი და დამბაჩა აიყარეს და ჩაბარეს რუსის ჯარს. არეულობის თავი კაცებთაგანი ზოგნი დაიჭირეს და ზოგნი თვითონ გამოვიდნენ რუსებთან. ახლა ეს მხარე სრულებით დამშვიდებულია.

„როგების“ მითხველებს თუ ახსოვთ ამ გაზეთის № 8 მოხსენებული იყო, რომ იმერეთის თავად-აზნაურობამ განიზრახა ბანკის დაარსება მუთაისში. შმალესის მთავრობისაგან მოვიდა ნება-რთვა ამ ბანკის დაფუძნებაზედ და ამასთანავე განკარგულეობა. რომ თანახმად თავად-აზნაურობის გადაწყვეტილობისა მებატონებს დაუჭირონ ბანკისთვის 10 პროცენტი იმ ფულიდამ, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა იმათ უწყალობა გლეხების განთავისუფლების გამო. ამ ფულის დარიგება კიდევ დაიწყეს მუთაისში პირველის იენილიდამ; ყველა მებატონებს ურიცხვენ 10 პროცენტს და საბანკოთ ხაზინაში ინახვენ. ამ გვართ, როგორც ამბობენ, ბანკს ერგება 300 ათას მანეთამდე, უმეტესი ნაწილი სრებით, ასე რომ ეს ფული ბანკის გახსნამდისაც ისარგებლებს და იმატებს. ბანკი მაშინ გაიხსნება, როცა თავად-აზნაურობისაგან ამორჩეული კამისია შეადგენს წესდების პროექტს და იმას მმართველობა დაამტკიცებს.

22 სექტემბერს, 1866 წ.

პოლიტიკა.

ანგლია. აღმოსავლეთის საქმეზედ და ქრისტიანების აღგომაზედ, რომელიც მოხდა ძანდიაში. სანაციონალო ზაზეთში, 17 სექტემბერს, აი რას სწერენ ლონდონიდან: „შოველისფრით სჩანს, რომ მიუცილებლად საქორა აღმოსავლეთის საქმის რითიმე დაბოლოვება. თითქმის ის კაცებიც კი საქორად რაცხავენ აღმოსავლეთის საქმეზედ ყურადღების მიქცევას, რომლებსაც მუდამ სურთ ანგლიის გაურეგლობა სხვის საქმეებში. ანგლიის მეპოლიტიკე პირნი ათის წლის წინათ ამბობდნენ, რომ მხოლოდ სამი შემთხვევაა იმისთანა, რომლების შესახებაც ანგლიამ უნდა ბეჯითად წარმოსთქვას თავისი აზრი. — პირველი შემთხვევა ის იქნება, როცა ღანის საზღვრებს რამე გაუჭირდებათ, და როცა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოთაგანი მოიწადინებს ბალტიის ზღვის გასავლკარების დაპყრობას; მეორე შემთხვევა ის იქნება როცა შრანკია რინს დაეცემა და ბელგია ჩაგრდება გაჭირებულს მდგომარეობაში. მესამედ, — როცა აღმოსავლეთის საქმის დაბოლოვებას შეუდგებიან იმ რიგათ, რომ ანგლიის ინტერესს რამე დააკლდება. პირველი შემთხვევა დაბოლოვდა ღანის ომითა. თუმცა წინათ აკრძალული იყო ღანის საზღვრების ხელ-შეხება, მაგრამ ამ აკრძალვას ყური არაფერ უდლო, დიპლომატიურის ოტების გარდა და გაზეთებით წინააღმდეგობის გამოცხადების გარდა ანგლიას არა დასჭირებია რა ღანის შესაწველად. როდესაც მეორე ზემოხსენებული შემთხვევა კინაღამ მოხდა, მაშინ ანგლიაში დიდი და პატარა ბენესისი აზრზედ დასთანხმდა. ბენესი თავის ბროშურაში ამტკიცებდა, რომ თვით ანგლიის საქმეობა ითხოვს, რომ ნაპოლეონმა რინის მარტები დაიპყროსო. ახლა მხოლოდ მესამე შემთხვევა დაგერჩა განსახილველად. ამ შემთხვევას შეიცავს აღმოსავლეთის საქმე: ამ წლის დამდეგს, როცა ღანის ომი თავდება, ანგლიაში ყველანი ყვიროდნენ, რომ ანგლია არ უნდა გაერიოსო ღანის საქმეში; იმავე დროს ახალგაზდა ანგლიის მეპოლიტიკენიც ამბობდნენ, რომ ანგლიის გარევა არც აღმოსავლეთის საქმეშიაო, ძლიერ საქორა. მას აქეთ ანგლიამ გამოიცვალა თავისი აზრი ამ საქმეზედ და ანგლიელებს ძლიერ სწყინდთ, როდესაც სხვა სახელმწიფოების გაზე-

თებში დასციინან, რომ ანგლიამ სრულებით დაჰკარგაო თავისი გავლენა აღმოსავლეთში. თუმცა ჯერ ანგლიელები არ უხადებენ, რომ იმათი სახელმწიფო გაერიოს აღმოსავლეთის საქმეში, მაგრამ ამას მინც იძახიან, რომ ანგლიამ თავისი ფლოტი და ჯარი მოამზადოს. თუ ვინიცობაა საქმემ ჩხუბამდის მიადწია, მაშინ ანგლია უნდა ეცადოსო, რომ თავისი უწინდელი გავლენა ისევ დაიბრუნოსო.

— თვითონ ანგლიას კი უფრო სასიამოვნოდ დარჩებოდა, რომ მსმალოს იმპერიას დაემშვიდებინა გამდგარი ხალხი. ანგლიის გაზეთი „Times“ ამბობს, რომ მსმალოს ეშინიან ქრისტიანების სისხლის დაღვრისაო და კარგი იქნებაო, რომ თვით ქრისტიანები გონიერად მოიქცნენო და დამშვიდდნენო, თუ ვინიცობაა გარედამ არაერთიარე შემწეობა არ აღმოუჩნდათო. ზემოხსენებული გაზეთი ურჩევს ბერძენებს, რომ იმათ ამერიკის იმედი არ ჰქონდეთ.

შემდეგ „თამისი“ ამ რიგათ განაგრძობს: „როგორც ბელგიაში და იტალიაში საბერძნეთშიაო ხალხმა მოიპოვა თავისუფლება სხვა სახელმწიფოების შეწყვეთ. როგორც სჩანს, საბერძნეთს ახლაც იმავე გვართ უნდა, რომ ისარგებლოს. თუ ვინიცობაა იმისთანა კარგი შემთხვევა აღმოუჩნდა, მაგრამ ამოა იმის წადლი. მხოლოდ ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ ამ უკანასკნელის თორმეტის წლის განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა. მაშინ ბრძოლა ასტყდა დასავლეთის სახელმწიფოებსა და რუსეთს შუა. აესტრია და ბერმანიამ ამ ომში არ მიიღეს მონაწილეობა. ისინი ფიზიკლად ადვენდნენ თვალ-ყურსა ამ ომის გათავებას. ამ ჟამად ეს უკანასკნელი სახელმწიფოანი, რასაკვირველია, ხელ-გულ დაკრფილი აღარ იქნებოან, რადგანაც ლუნის სა-მთავროებში მფლობელობს ლონდონ-კოლეგის დინასტია და თვით აესტრიაც დიდს ყურადღებას აქცევს აღმოსავლეთს, ამისთვის რომ იმას ბერმანიაში ფეხი აღარ უდგა. მქვი არ არის, რომ აღმოსავლეთის საქმეში ამ ჟამად უფრო ბევრი სახელმწიფოანი მიიღებენ მონაწილეობას, მინამ იმ უკანასკნელს დროს. თვით ამერიკაც ისე იქცევა, რომ თითქო ისიც კი აპირებსო გარეგას ამ საქმეში. როგორც სჩანს ბერძენებსა ჰგონათ, რომ ისინი მარტო სიტყვით გაარიგებენ რასმესა. ბერძნებს ურჩევიათ, რომ უფრო მძიმეთ მიჰყონ ხელი საქმესა. მეროპაში ერთი გონიერი კაცი არ მოიძებნება, რომ ამ საქმეში ბერძნებს თანაგრძობა გამოუცხადოს. პიდეტს რომ გაჰყარონ მეროპიდან ოსმალელები, ბერძნებს მინც გაუძნელებათ იმათი მაგიერობა. ბერძნები ძლიერ ცოტანი არიან და ამასთან არც იმ გვარი თვისება აქვთ, რომ სხვა კარგათ განაგონ. მეორე ანგლიის გაზეთი თუმცა უფრო მომეტებულის თანაგრძობით ლაპარაკობს ბერძნებზედ, მაგრამ ის მინც აცხადებს, თუ რა რიგათ მოიქცევა ანგლიის მმართველობა ამ საქმეში. ის ამბობს, რომ საბერძნეთი ამ ჟამად ვერ არისო რიგინას მდგომარეობაში. იმან ვერ გაამართლა ის იმედი, რომელიც იონის კუნძულების დათმობის შემდეგ იმაზედ ჰქონდათ. მაგრამ მიუტოვებელს საქორებაა ყოველი სახელმწიფო მოვლის. როგორც ერთმა კაცმა, ისე მიუტოვებელს საქორებაა სიყრმე და სიკაბუჯე უნდა გამოცადოს მინამ სისრულეში შევიდოდეს. დიდი ხანი არ არის რაც, საბერძნეთმა აკცხილტან-საცემელი გაიძრო. შმჯობესი და სასურველი იქნება, რომ ბერძნები დაესხან თავის განზრახვას, რომელიც შეიცავს მთელის საბერძნეთის ხალხის ერთად შერთებას, მსმალოს თვით მეროპა საქორად არ შერაცხავს ამ ვანზრახვის ასრულებას. თუ სამართლიანად ვნებესკით, მაშინ ესეც უნდა მოვიხსენოთ, რომ მეროპამ ბერმანიის და იტალიის ერთობა მხოლოდ მაშინ დაინახა საქორად, როდესაც ამ სახელმწიფოებმა თავიანთის საშუალებით

